

„დამტკიცებულია“

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის  
სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის,  
სხალთის მთავარეპისკოპოსის სპირიდონის მიერ  
ბრძანება: N01-07-09/ვ. 24.11.2017 წ.

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის

საქართველოს საპატრიარქოს  
წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის

აკადემიური პერსონალის  
რაოდენობის განსაზღვრის  
წესი

ხიჭაური  
2018 წელი

**ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს  
წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის**

**აკადემიური პერსონალის რაოდენობის  
განსაზღვრის წესი**

**მუხლი I. ზოგადი დებულებები**

1. აკადემიური პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის წესი (შემდგომში „წესი“) წარმოადგენს ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის (შემდგომში „ტბელის უნივერსიტეტი“) აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიას.

**მუხლი II. აკადემიური პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის პრინციპები**

1. წინამდებარე „წესი“-ს შემუშავებისას გათვალისწინებული იქნა „ტბელის უნივერსიტეტი“-ს ფუნქციონირების შემდეგი თავისებურებები:
  - 1.1. უფასო სწავლება;
  - 1.2. გეოგრაფიული მდებარეობა;
  - 1.3. აკადემიური პერსონალის საცხოვრებელი ადგილი („ტბელის უნივერსიტეტიდან“ დაშორება).
  - 1.4. აკადემიური პერსონალის დასაქმებულობა სხვა სამსახურებში.
2. „ტბელის უნივერსიტეტი“-ში აკადემიური პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის ძირითადი მეთოდოლოგიური დასაყრდენია, საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული აკადემიური დატვირთვისა და საკუთრივ აკადემიური პერსონალის მიერ „ტბელის უნივერსიტეტისათვის“ გამოყოფილი დროის შესაბამისობა.
3. „ტბელის უნივერსიტეტისათვის“ გამოყოფილი დრო გულისხმობს, დროის იმ მოცულობას (დღეს), რასაც აკადემიური პერსონალი უთმობს პროგრამიდან აღებული დატვირთვის შესრულებას.
4. „ტბელის უნივერსიტეტი“-ს აკადემიური პერსონალი ვალდებულია, როგორც ბაკალავრიატის, ისე მაგისტრატურის საწავლო პროცესს კვირაში დაუთმოს არანაკლებ ორი დღე.
5. „ტბელის უნივერსიტეტი“-ს აკადემიური პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის ძირითადი და უცვლელი პრინციპია - პროგრამაში ასახული სასწავლო, სამეცნიერო-კვლევითი და პრაქტიკის კომპონენტების უპირობო შესრულების ვალდებულება.